საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

04/03/2025

MES 9 25 0000467460

# გადაწყვეტილება

## შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" ინგლისურენოვანი სამაგისტრო (60 ECTS) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

### 1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^2$ - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ $27^5$-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ$^1$“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის “მეტწილად შესაბამისობა” განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

1.6. აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ე მუხლის მე-$7^1$ პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 4 სექტემბრის №1064040 ბრძანების (ბრძანებაში ცვლილება №1225952, 27/09/2024) საფუძველზე, განხორციელდა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო, ”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო (120 ECTS), ”ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო (120 ECTS), "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" სამაგისტრო (60 ECTS) და "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" ინგლისურენოვანი სამაგისტრო (60 ECTS) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) საბჭომ 1.4 კომპონენტში დაამატა 2 რეკომენდაცია და შედეგად, 1.4 კომპონენტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“,აღნიშნულმა გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება, შედეგად პირველი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“

ბ) 1.5 კომპონენტში გაცემული 1 რეკომენდაცია ამოიღეს, მეორე რეკომენდაცია კი გადაიტანეს რჩევაში. შედეგად, 1.5 კომპონენტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

გ) 4.3 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია ამოღებულ იქნა, შედეგად, 4.3 კომპონენტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

დ) 5.3 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია ამოიღეს.

**3. სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

**გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" ინგლისურენოვან სამაგისტრო (60 ECTS) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო, ”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო (120 ECTS), ”ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო (120 ECTS), "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" სამაგისტრო (60 ECTS) და "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" ინგლისურენოვანი სამაგისტრო (60 ECTS) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 04 მარტის სხდომის №224590 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შინაარსთან;
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შინაარსთან;
- რეკომენდებულია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- რეკომენდებულია, დაკორექტირდეს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუქა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობა;
- რეკომენდებულია, მისანიჭებელი კვალიფიკაცია მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ კვალიფიკაციის მინიჭების წესთან;
- რეკომენდებულია, დაზუსტდეს დაშვების მოთხოვნები, დეტალურად აღიწეროს ყველა წინაპირობა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს აპლიკანტების მიერ. პროგრამის დოკუმენტებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი ჩარიცხვის ყველა შესაძლებლობა;
- რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს რეალური ბიზნეს პროექტები და დარგის ლიდერებთან ინტენსიური ურთიერთობის შენარჩუნება, რაც "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამას განასხვავებს ტრადიციული "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამისგან;
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს დამატებითი შეხვედრები და სემინარები კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პერსონალისთვის იმისათვის, რომ გაძლიერდეს მათი მონაწილეობა და ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღების პროცესების გაცნობის და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით,

რეკომენდებულია, სხვადასხვა გამოკითხვების საშუალებით შეგროვებული მონაცემები საფუძვლიანად იყოს გაანალიზებული და განხილული შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან და მენეჯერებთან;

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის მონიტორინგის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან მიღებულ რაოდენობრივ მონაცემებზე, არამედ გაითვალისწინებს შესაბამის შინაარსობრივ ანალიზსაც;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტუდენტების მიერ კვლევითი კომპონენტის და ხელმძღვანელობის შეფასების მექანიზმები.

**რჩევები:**

სასურველია, სამაგისტრო პროგრამის დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტი.

- სასურველია, პროგრამაში მეტად გაძლიერდეს აღმასრულებელი კომპეტენციების განმავითარებელი კომპონენტები - ლიდერობის უნარები, სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, არსებული მენეჯერული გამოცდილების გამოყენება და გლობალური ბიზნესის პერსპექტივა. ასევე, სასურველია პროგრამის მიზნებში აისახოს ქსელური და პროფესიული ურთიერთობების განვითარების მექანიზმები. აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს პროგრამის მეტ შესაბამისობას აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკასთან და გაზრდის მის ეფექტურობას მაღალი რგოლის მენეჯმენტის განვითარებისთვის.
- სასურველია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და აისახოს მხოლოდ ძირითადი სპეციალობის სფეროს კურსები.
- სასურველია, გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კერძოდ რუბრიკაზე დაფუძნებული ინსტრუმენტი.
- სასურველია, და შესაძლოა მომგებიანი იყოს სხვადასხვა პროგრამისათვის ამ პროგრამებთან აფილირებული პერსონალის ყოლა შესაბამისი ბიზნეს გამოცდილებით, რათა უკეთ დაკმაყოფილდეს თითოეული პროგრამის უნიკალური საჭიროებები, რადგან როგორც დოკუმენტაციებიდან იკვეთება, ერთი და იგივე პერსონალი ჩართულია მრავალი პროგრამის განხორციელებაში.
- სასურველია, სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებმა გააუმჯობესონ თავიანთი სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა სამეცნიერო სტატიების WebofScience - ის ან Scopus - ის მონაცემთა ბაზების ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებით. ასევე სასურველია აღნიშნულ აქტივობებში ითანამშრომლონ თავიანთ სტუდენტებთან, რომელთა კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელობასაც ახორციელებენ.
- სასურველია, განახლდეს პერსონალის CV - ები, სადაც სრულად იქნება ასახული ინფორმაცია გამომცემლების და გამოქვეყნებების ბმულების შესახებ.
- სასურველია, პროგრამების განვითარება შეფასდეს დარგის ექსპერტების, მათ შორის უცხოელი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. უნივერსიტეტს ესაჭიროება გარე შეფასება, რომელიც ორიენტირებული იქნება შინაარსობრივ დეტალებზე, შეისწავლის სწავლის შედეგების სასწავლო კომპონენტებთან შესაბამისობას.
- სასურველია, როგორც პროგრამის ფარგლებში, ისე მის გარეთ განხორციელდეს „ნეთვორქინგის“ ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს მრგვალი მაგიდის დისკუსიებს, სემინარებს, დარგის ლიდერებთან შეხვედრებს და სოციალურ შეკრებებს. აღნიშნულ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის წახალისება და გამოცდილების გაზიარება გააძლიერებს მათ პროფესიულ ქსელებს.

- სასურველია, გაძლიერდეს სასწავლო პროცესში დარგის ექსპერტების და პრაქტიკოსების ჩართულობა. ლექციების ჩასატარებლად, ქეისების გასაანალიზებლად და პრაქტიკული გამოცდილების გასაზიარებლად გამოცდილი მენეჯერების და ბიზნეს ლიდერების მოწვევა გაამდიდრებს საგანმანათლებლო გამოცდილებას და გააძლიერებს აკადემიას და ინდუსტრიას შორის კავშირს.
- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის მენტორობის კომპონენტი სტუდენტების გამოცდილ მენეჯერებთან ან ბიზნეს ლიდერებთან დაწყვილების გზით, რომლებსაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მათ პროფესიულ განვითარებას, გაუწიონ კონსულტაცია რეალურ გამოწვევებთან დაკავშირებით და გაუზიარონ ღირებული ხედვები და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 25 თებერვლიდან.
6. საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში 1 წლის თავზე განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის $24^1$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ელექტრონული
ეროვნული
ეროვნული

**დანართი №1**

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება EMBA (ინგლისურენოვანი) |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეშვიდე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413 |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 60 ECTS |
| 14 | განხორციელების ადგილი | მერაბ ალექსიძის N10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |
| 16 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2025 წლის 25 თებერვალი |
| 17 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა | მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა 2026 წლის 25 თებერვალი |
| 18 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2032 წლის 25 თებერვალი |